ითხოვი, რა ხარ
ევროპა
ლოცვიანლოგები ქართველნი?
European Social Charter
Charte Sociale Européenne
COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

European Social Charter | Charte Sociale Européenne

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

გამარჯობა. მე მქვია ადამი და ვარ ათი წლის. შენსავით მეც ევროპაში ვცხოვრობ. მამაჩემი მუშაობდა რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის, საფრანგეთში, თურქეთსა და უკრაინაში. ჩემს პატარა დას არ უყვარს მუდმივად გადაადგილება, მაგრამ მე მომწონს, რადგან ეს მაძლევს ახალი მეგობრების შეძენის საშუალებას. მალე მეყოლება მეორე პატარა დაიკო, რომელსაც ალბათ ფეხბურთს ვასწავლი. დღეს ჩემმა ფრანგმა მეგობარმა მიამბო ევროპის საბჭოს შესახებ. ეს არის ევროპული ორგანიზაცია, რომელიც სტრასბურგში მდებარეობს და იცავს ადამიანის უფლებებს. ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ევროპის სოციალურ ქარტიას, რომელიც მოიცავს ბავშვთა უფლებებს. გსმენია ამის შესახებ? თუ არ გსმენია, ნება მომეცი, მოგიყვე მასზე.

მიხარია, რომ დღესასწაულების შემდეგ სკოლაში ვბრუნდები.
მე აღარ მინდა სკოლაში წასვლა. მინდა, მუშაობა დავიწყო.
მსურს, ვიყო ცნობილი გამომგონებელი, ან ბანკირი.
BANK
მე ვიცი, ვინ მინდა, გამოვიდე! ასტრონავტი ან ავიაკომპანიის პილოტი...
მაგრამ პილოტი რომ გამოხვიდე, სპეციალურ სკოლაში უნდა ისწავლო.

იცით თუ არა, რომ სამუშაოს დასაწყებად ჯერ სკოლაში უნდა წახვიდეთ?



იცით თუ არა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ იგივე უფლებები, რაც სხვებს, და იმისთვის, რომ ისარგებლონ ამ უფლებებით, ზოგჯერ საჭიროა სპეციალური ზომების მიღება?

იცით თუ არა, რომ თქვენ შეგიძლიათ დახმარების მიღება, თუ სკოლაში სწავლა გსურთ, მაგრამ არ გაქვთ საკმარისი ფული?

თუ არ იცი, რისი გაკეთება გინდა, როცა გაიზრდები, არიან ადამიანები, რომლებიც დაგეხმარებიან გადაწყვეტილების მიღებაში.



იცით თუ არა,რომ არავის შეუძლია, დაგაძალოთ მუშაობა ან მოწყალების თხოვნა?



იცით თუ არა, რომ თუ ოჯახი არ გყავთ, დახმარების უფლება გაქვთ ?
თქვენი დატოვება ქუჩაში საცხოვრებლად არ შეიძლება.



იცით თუ არა, რომ ყველას აქვს საცხოვრებლის უფლება და მათ, ვისაც საცხოვრებელი არ აქვთ, შეუძლიათ სახელმწიფოს სთხოვოს დახმარება?



იცით თუ არა, რომ არ გაქვთ მუშაობის უფლება, სანამ ბავშვი ხართ?

იცით თუ არა, რომ თუ ვინმე გატკენთ, თუნდაც ოჯახში ან სკოლაში, არ უნდა გრცხვენოდეთ ამის? თქვენ უნდა ისაუბროთ ამ საკითხზე.

იცით თუ არა, რომ სახელმწიფოს ევალება თქვენი ჯანმრთელობის დაცვა?

იცით თუ არა, რომ უნდა ისწავლოთ, თუ როგორ შეიძლება იყოთ ჯანმრთელი მთელი ცხოვრება?



იცით თუ არა, რომ თქვენს ოჯახს აქვს დაცვის უფლება?



იცით თუ არა, რომ ყველა ზრდასრულს აქვს უფლება, იმუშაოს იქ, სადაც თავს დაცულად გრძნობს, კარგად ეპყრობიან და იღებს საკმარის შემოსავალს ოჯახის შესანახად?



იცით თუ არა, რომ ყველას, ვინც დაკარგავს სამსახურს, აქვს დაცვის უფლება?



იცით თუ არა, რომ უბედური შემთხვევისას დაზარალებულ და დაავადებულ ადამიანებს სოციალური უზრუნველყოფის სამსახური ეხმარება?



იცით თუ არა, რომ აკრძალულია დისკრიმინაცია ქალების მიმართ? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ არ უნდა მოექცნენ კაცებისგან განსხვავებულად.

იცით თუ არა, რომ კანონი იცავს ქალებს, რომლებიც აპირებენ ბავშვის გაჩენას?

იცით თუ არა, რომ ხანდაზმულებს აქვთ დაცვის უფლება?

დედა, ეგ რა არის?
ეს არის ევროპის სოციალური ქარტია. შენ ერთ-ერთმა მეგობარმა გიამბო მის შესახებ.
ჩემს უფლებებზე ბევრი რამ ვისწავლე!
ძალიან მნიშვნელოვანია, დაინტერესდე საკუთარი უფლებებით.
The European Social Charter
რა თქმა უნდა! მეტიც, ეს ჩემთვის ყოველდღიურად შეიძლება იყოს სასარგებლო!
როცა გაიზრდები, მთლიანად უნდა წაიკითხო.
ევროპის სოციალური ქარტია არის უფლებათა ერთობლიობა, რომლებიც ეხება როგორც სრულწლოვნებს, ასევე ბავშვებს. ძალზე მნიშვნელოვანია საკუთარი უფლებების ცოდნა. ნამდვილად ვფიქრობ, რომ უნდა წაიკითხოთ ეს წიგნი. დროებით!

ამ წიგნში წარმოდგენილია უფლებები ევროპის სოციალური ქარტიის კონკრეტული მუხლებიდან

გვერდი

იცით თუ არა, რომ სამუშაოს დასაწყებად ჯერ სკოლაში უნდა წახვიდეთ?
(მუხლები 9 და 10) 4-5

იცით თუ არა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ იგივე უფლებები, რაც სხვებს, და იმისთვის, რომ ისარგებლონ ამ უფლებებით, ზოგჯერ საჭიროა სპეციალური ზომების მიღება?
(მუხლი 15) 6

იცით თუ არა, რომ თქვენ შეგიძლიათ დახმარების მიღება, თუ სკოლაში სწავლა გსურთ, მაგრამ არ გაქვთ საკმარისი ფული?
(მუხლები 10 და 17) 7

თუ არ იცი, რისი კეთება გინდა, როცა გაიზრდები, არიან ადამიანები, რომლებიც დაგეხმარებიან გადაწყვეტილების მიღებაში.
(მუხლები 9 და 10) 8

იცით თუ არა, რომ არავის შეუძლია, დაგაძალოთ მუშაობა ან მოწყალების თხოვნა?
(მუხლები 7 და 17) 9

იცით, რომ თუ ოჯახი არ გყავთ, გაქვთ დახმარების უფლება? თქვენი დატოვება ქუჩაში საცხოვრებლად არ შეიძლება.
(მუხლები 13, 31, 7 და 17) 10

იცით თუ არა, რომ ყველას აქვს საცხოვრებლის უფლება და ვისაც საცხოვრებელი არ აქვს, შეუძლია, სახელმწიფოს სთხოვოს დახმარება?
(მუხლი 31) 11

იცით თუ არა, რომ არ გაქვთ მუშაობის უფლება, სანამ ბავშვი ხართ?
(მუხლები 7 და 17) 12

იცით თუ არა, რომ თუ ვინმე გატკენთ, თუნდაც ოჯახში ან სკოლაში, არ უნდა გრცხვენოდეთ ამის? თქვენ უნდა ისაუბროთ ამ საკითხზე
(მუხლები 7 და 17) 13

იცით თუ არა, რომ სახელმწიფოს ევალება თქვენი ჯანმრთელობის დაცვა?
(მუხლი 11) 14

იცით თუ არა, რომ უნდა ისწავლოთ, თუ როგორ შეიძლება იყოთ ჯანმრთელი მთელი ცხოვრება?
(მუხლი 11) 15

იცით თუ არა, რომ თქვენს ოჯახს აქვს დაცვის უფლება?
(მუხლი 16) 16

იცით თუ არა, რომ ყველა ზრდასრულს აქვს უფლება, იმუშაოს იქ, სადაც თავს დაცულად გრძნობს, კარგად ექცევიან და იღებს საკმარის შემოსავალს ოჯახის შესანახად?
(მუხლები 1, 2, 3, 4 და 19) 17

იცით თუ არა, რომ ყველას, ვინც დაკარგავს სამსახურს, აქვს დაცვის უფლება?
(მუხლები 12 და 24) 18

იცით თუ არა, რომ უბედური შემთხვევისას დაზარალებულ და დაავადებულ ადამიანებს სოციალური უზრუნველყოფის სამსახური ეხმარება?
(მუხლები 12 და 13) 19

იცით თუ არა, რომ აკრძალულია დისკრიმინაცია ქალების მიმართ? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ არ უნდა მოექცნენ კაცებისგან განსხვავებულად.
(მუხლები 1 და 20) 20

იცით თუ არა, რომ კანონი იცავს ქალებს, რომლებიც აპირებენ ბავშვის გაჩენას?
(მუხლები 8 და 27) 21

იცით თუ არა, რომ ხანდაზმულებს აქვთ დაცვის უფლება?
(მუხლები 12, 13 და 23) 22

European Social Charter | Charte Sociale Européenne

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

ტექსტის ავტორები: ბეატა ვაზუკი, რეჯინა სავიკა
ილუსტრაციების ავტორი: ივონა ვესოლი
გრაფიკული დიზაინი: იაცეკ კაეტან ვიტკოვსკი

პუბლიკაციის თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს პროექტის „სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში.

© ევროპის საბჭო, 2022 წლის მაისი

www.coe.int

შენ იმ დიდი ოჯახის ნაწილი ხარ, რომელიც 800 მილიონი ადამიანისგან შედგება!

იცი თუ არა, რომ, როგორც ახალგაზრდა ევროპელი, 800 მილიონი ადამიანისგან შემდგარი დიდი ოჯახის ნაწილი ხარ? შენ ცხოვრობ სამყაროში, სადაც შეგიძლია, გაიცნო სხვა ბავშვები და ისწავლო სხვა ენები; გაეცნო ცხოვრების განსხვავებულ წესებს, სხვა ქვეყნებსა და სხვა იდეებს. ამასთან, შენ, როგორც ევროპელი, ვალდებული ხარ, გიყვარდეს სხვა ადამიანები და პატივს სცემდე განსხვავებებს.

იმედი გვაქვს, ამ წიგნზე დაყრდნობით, შეძლებ, რომ გაიცნო და შეისწავლო ევროპის საბჭოს საქმიანობა. ეს დაგეხმარება საკუთარი უფლებების დაცვაში - ახლაც და მომავალშიც, როცა გაიზრდები!

დამატებითი ინფორმაციისთვის, ეწვიე გვერდებს: www.coe.int და www.coe.int/socialcharter